

შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზუნში ლურჯი მოცვის ბადის სამელიორაციო
სისტემის ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო
და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ

სარჩევი

- 1. შესავალი2
- 2. ტერიტორიის ადგილმდებარეობა..... 3
- 3. საქმიანობის აღწერა..... 5
- 4. სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის ჩატარებული სამუშაოები..... 6
- 5. დასაქმება და სამუშაო გრაფიკი 7
- 6. რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება..... 7
- 7. ტერიტორიასთან მისასვლელი გზები 10
- 8. მდ. უმზიას ჰიდროლოგია..... 10
- 9. ზემოქმედების შეფასება 13
- 9.1 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება..... 13
- 9.2 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე 13
- 9.3 ზემოქმედება სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე 13
- 9.4 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე..... 13
- 9.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე 14
- 9.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 14
- 9.7 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა 14
- 9.8 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება..... 15
- 9.9 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება..... 15
- 9.10 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე 15
- 9.11 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე 16
- 9.12 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე 16
- 9.13 კუმულაციური ზემოქმედება 17
- 10. დანართი 1 - ხელშეკრულება შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ და შპს „ საქართველოს მოსავალს შორის 18
- 11. დანართი 2 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან..... 22
- 12. დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან..... 24

1. შესავალი

შპს „ლურჯი მოცვის საქართველოდან“-ს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბაღი. აღნიშნული საქმიანობისთვის გამოყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მიახლოებითი ფართობით 12,7 ჰა.

მოცვის ბაღი გაშენდა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გამოყენებული იქნა პოლონეთიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებული მოცვის ნერგები (სულ 37 950). აღნიშნული ნერგები სრული მსხმოიარობის შედეგად წლიურად ისხამს დაახლოებით 110 ტონა მოცვის.

საქართველოს გეოგრაფიული და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ლურჯი მოცვის მოსავალი შედარებით ნაადრევად მოდის, რაც განაპირობებს მასზე მაღალ მოთხოვნას. თავდაპირველად საქართველოდან ლურჯი მოცვის ექსპორტი განხორციელდება როგორც ევროკავშირის, ისე გაღვის ქვეყნებში, თუმცა საგულისხმოა, რომ პროდუქცია ქართულ ბაზარზეც გაიყიდება. შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ გეგმავს, სრულად მოიცვას ექსპორტის შესაძლო ბაზრები, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე, ექსპორტისთვის ძირითადად განხილულია ზემოაღნიშნული ქვეყნები.

მოცვის ბაღისთვის უმნიშვნელოვანესია მორწყვის ეფექტური სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომპანიამ ტერიტორიაზე მოაწყო წვეთოვანი სამელიორაციო სისტემა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კენკროვანი კულტურების ბაღის მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. ცნობები კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N 1 – ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ

| | |
|--|--|
| საქმიანობის განმახორციელებელი | შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ |
| კომპანიის იურიდიული მისამართი | საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47 |
| კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი | 405472778 |
| კომპანიის დირექტორი | რატი ჩაკვეტაძე |
| საკონტაქტო ინფორმაცია | rchakvetadze@gmail.com |
| საქმიანობის სახე | სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია |
| საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნარაზენი |

| | |
|---------------------------------|--|
| საკონსულტაციო კომპანია | შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“ |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 405390973 |
| იურიდიული და ფაქტიური მისამართი | თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16 |
| დირექტორი | თინათინ ჟიჟიაშვილი |
| საკონტაქტო ინფორმაცია | www.ecometer.org.ge E-mail: info@ecometer.org.ge ტელ: 593 044 044; 577 38 01 13 |

2. ტერიტორიის ადგილმდებარეობა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, შპს „ლურჯ მოცვს საქართველოდან“-ს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბაღი. აღნიშნული საქმიანობისთვის გამოყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მიახლოებითი ფართობით 12,7 ჰა. შერჩეული ტერიტორიების საკადასტრო კოდია: 43.12.47.555. სამელიორაციო სისტემა მოწყობილია ტერიტორიის სრულ ფართობზე, საოფისე ფართის განსათავსებლად გამოყენებულია დაახლოებით 0,3 ჰა, ხოლო სატუმბი ოთახისთვის 10 მ².

ლურჯი მოცვის ბაღისთვის შერჩეული ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე (ს/კ 43.12.41.340) დაშორებულია დაახლოებით 280 მეტრით, თუმცა ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 220 მეტრში (ს/კ 43.12.47.447) მდებარეობს არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, 250 მეტრში კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 43.12.47.467), მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით. მდინარიდან წყლის ამოღებისთვის განკუთვნილი ტუმბოს განთავსების წერტილიდან აღნიშნული საკადასტრო კოდები დაშორებულია დაახლოებით 400–490-413 მეტრით. რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტს - მდ. უმპიას, იგი მიედინება უშუალოდ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის გასწვრივ. უახლოესი დაცული ტერიტორია - კოლხეთის ეროვნული პარკი ბაღის მიწის ნაკვეთებიდან დაცილებულია დაახლოებით 20 კმ-ზე მეტი მანძილით, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის საკუთრებაში არსებული ტერიტორია (ს/კ 200.39.39968) უშუალოდ ემიჯნება ბაღებისთვის შერჩეულ მიწის ნაკვეთს.

მიწის ნაკვეთამდე მიდის ადგილობრივი ასფალტირებული გზა (ზუგდიდი-ნარაზენი-ჭაქვიჩი-ხიბულა-ზუბი), რომლებიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად დამატებითი გზების მოწყობა საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტერიტორია შემოღობილია და მიწის ნაკვეთამდე მიყვანილია ელექტრო ენერჯია.

სურ. N 2 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა



3. საქმიანობის აღწერა

შპს „ლურჯი მოცვის საქართველოდან“-ს მოცვის ბადის მორწყვის მიზნით, ტერიტორიაზე მოწყობილი აქვს წვეთოვანი სარწყავი სისტემა. გამომდინარე იქიდან, რომ ლურჯი მოცვი განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ, ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით, მის ეფექტურ მორწყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქმიანობისთვის საჭირო წყალაღება ხორციელდება მდ. უმპიადან, ერთ წერტილში. წყალაღების მიახლოებითი GPS კოორდინატებია:

| X | Y |
|------------|-------------|
| 740355.956 | 4703882.720 |

აღნიშნული წერტილიდან დაახლოებით 2 მეტრში (X - 740358, Y - 4703884) განთავსებულია წყლის ამოსაქაჩი, იტალიური წარმოების ზედაპირული ტუმბო (სიმძლავრე 4 კვტ, წარმადობა 15 მ³/სთ). ტუმბოს მეშვეობით მდინარიდან ამოღებული წყალი, მაგისტრალური პოლიმერული მილების (PN6) გავლით გროვდება სამარაგო რეზერვუარში, რომელიც განთავსებულია მიწის ზედაპირზე. ტუმბოდან რეზერვუარამდე მიმავალი მილის სიგრძეა დაახლოებით 200 მ, ხოლო დიამეტრი 75 მმ. აღნიშნული მილები განთავსებულია მიწის ქვეშ, დაახლოებით 60 სმ-ზე. სამარაგო რეზერვუარის შევსების სიხშირე შეადგენს დღეში 4 საათს. აღნიშნული რეზერვუარის სიმაღლეა 2,60 მ, დიამეტრი 13,5 მ, ხოლო მოცულობა 340 მ³. რეზერვუარი დამზადებულია გალვანიზირებული, უჟანგავი ლითონით, მემბრანიანი შიგთავსით. რეზერვუარიდან წყალი თვიდენით გადადის მის მიმდებარედ მოსაწყობ სატუმბო ოთახში არსებულ იტალიური წარმოების ტუმბოში, რომლის სიმძლავრეა 7,5 კვტ, ხოლო წარმადობა 15 მ³/სთ. აღნიშნული ტუმბოს მეშვეობით, წყალი მიეწოდება მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე მოწყობილ წვეთოვან სარწყავ სისტემას. რეზერვუარი განთავსებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, შემდეგ კოორდინატებზე:

| X | Y |
|------------|-------------|
| 740302.349 | 4704103.262 |

ბადის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვა განხორციელდა პოლიმერული მილებით (P100), რომლებიც აღჭურვილია კომპენსირებადი საწვეთურით ყოველ 0,5 მ-ში. საათში თითო საწვეთურიდან წყლის დაღვრის მახასიათებელია 1,6 ლ, წვეთოვანის მუშაობა 3,5 ბარი. მოცვის ბადის ტერიტორიაზე დაქსელვის სიგრძე ჯამურად შეადგენს 3138 მეტრს.

ერთ სრულ მსხმოიარობაში მყოფ ნერგს, სეზონიდან გამომდინარე დღე-ღამეში სჭირდება 2,5 ლიტრამდე წყალი. დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, საქმიანობისთვის **გამოსაყენებელი წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს დაახლოებით 5000 მ³-ს**. ცხრილში N2, დათვლილია თვეების მიხედვით რამდენ მ³ წყალს საჭიროებს 37 950 ნერგი. წყლის რაოდენობა გამოთვლილია უარესი სცენარის გათვალისწინებით, იმ შემთხვევისთვის თუ ზაფხულის პერიოდი გვალვიანი გამოდგა.

ცხრილი N2-საჭირო წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, მ³

| იანვ. | თებერვ. | მარ. | აპრ. | მაის. | ივნ. | ივლ. | აგვის. | სექტ. | ოქტ. | ნოემბ. | დეკ. |
|-------|---------|------|------|-------|------|------|--------|-------|------|--------|------|
| 50 | 50 | 500 | 500 | 700 | 700 | 850 | 850 | 500 | 100 | 100 | 100 |

ბაღს მორწყვა ზაფხულის თვეებში სჭირდება ყოველ დღე, დილის 07:00 – 10:00-მდე და საღამოს 19:00-22:00-მდე. რაც შეეხება დანარჩენ თვეებს, ბაღის მორწყვა სჭირდება სამ დღეში ერთხელ, მორწყვის საათები იგივეა. **ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა წყლის ეს რაოდენობა დათვლილია უარესი სცენარით და შესაძლებელია, რომ მოხდეს აღნიშნულზე ნაკლები წყლის გამოყენებაც.**

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანია მოცემული წყალადების წერტილიდან ჯამურად იღებს 10 000 მ³ წყალს, რომლიდანაც 5000 მ³ იყენებს თვითონ, ხოლო დარჩენილ 5000 მ³-ს მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე აწვდის მის მომიჯნავედ, სხვა კერძო კომპანიის (შპს „საქართველოს მოსავალი“) საკუთრებაში არსებულ ანალოგიური ტიპის მოცვის ბაღს.

4. სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის ჩატარებული სამუშაოები

სამელიორაციო სისტემა მოეწყო 15-20 დღეში. მოწყობის სამუშაოებისას პირველ რიგში განხორციელდა მიწისქვეშა მიწებისთვის განკუთვნილი თხრილების მომზადება, სადაც ჩაიყარა შესაბამისი მიწები და დაიფარა იმავე მიწით, რომელიც ამოღებული იქნა აღნიშნული თხრილების მომზადებისას.

აღსანიშნავია, რომ სამელიორაციო სისტემის მოწყობის დროს ადგილი არ ჰქონდა მძიმე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და სხვა პირების კერძო საკუთრების დაზიანების ფაქტებს. მოწყობის სამუშაოები განხორციელდა უშუალოდ შპს „ლუჯი მოცვის საქართველოდან“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. საოფისე შენობა და სატუმბი ოთახი არის მარტივი ტიპის ნაგებობა/კონსტრუქცია, რომელსაც არ დასჭირდა საძირკვლის მომზადება და მძიმე ტექნიკის ადგილზე მუშაობა. რაც შეეხება ტუმბოს განთავსებას, გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული დანადგარი არის ზედაპირული ტიპის, ადგილი არ ჰქონია სამშენებლო ტექნიკის მდინარის კალაპოტში დგომას და ამ კუთხით რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები იყო მსუბუქი სახის და განხორციელდა დღის საათებში.

5. დასაქმება და სამუშაო გრაფიკი

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე, ობიექტზე დასაქმებული იყო დაახლოებით 5 ადამიანი, ხოლო რაც შეეხება ლურჯი მოცვის ბადის ექსპლუატაციის ეტაპს, მუდმივად დასაქმებულია 10 ადამიანი (მენეჯერი, ბუღალტერი, აგრონომი, მომრწყველი, დარაჯი, მუშები), ხოლო კრეფის სეზონზე, კერძოდ კი ივლისში დამატებით საქმდება 200 პირი. კომპანიის საქმიანობის ფარგლებში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

მუშა პერსონალისთვის ტერიტორიაზე მოწყობილია მარტივი კონსტრუქციის საოფისე შენობა და ბიოტუალეტი. დასაქმებულთათვის საჭირო სასმელ-სამეურნეო წყლის შემოტანა ხორციელდება ბუტილირებული სახით.

6. რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

სოფელი ნარაზენი მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სამხრეთით, იგი ქალაქ ზუგდიდიდან დაშორებულია 15 კმ, ხოლო თბილისიდან 336 კმ-ით. სოფლის მიდამო ზეგან-ბორცვიანია, ზღვის დონიდან მდებარეობს 152 მეტრზე. სოფელში 1302 კომლია და ცხოვრობს 3833 ადამიანი.

ნარაზენს აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფლები ჭაქვინჯი და ძველი ხიბულა, დასავლეთით აბასთუმანი და ურთა, სამხრეთით-მდინარე ჭანისწყალი და სოფ. საჯიჯაო, ჩრდილოეთით ახალსოფელი. ნარაზენს ჩამოუდის მდინარეები ჭანისწყალი, ჩხაია (სკაია), დეღეები ოტორონჯე, უმპია, შავიდეღე.

ნარაზენში ნოტიო სუბტროპიკული ჰაერი ჭარბობს, შემოდგომა და გაზაფხული ზომაზე მეტად თბილია.

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით საპროექტო რაიონი, ზუგდიდი განეკუთვნება III კლიმატურ და III ბ კლიმატურ ქვე რაიონს.

ცხრილი N3 - სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

| პუნქტის დასახელება | კლიმატური რაიონები | კლიმატური ქვერაიონები | იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C | ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ | ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C | ივლისის ფარდობითი ტენიანობა, % |
|--------------------|--------------------|-----------------------|---------------------------------|---|---------------------------------|--------------------------------|
| ზუგდიდი | III | III ბ | +2-დან +6-მდე | - | +22-დან +28-მდე | - |

ცხრილი N 4 - ჰაერის ტემპერატურა

| № | პუნქტების დასახელება | გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 C | | | | | | | | | | | | | შველაზე ცხელი თვის საშუალო | | | | პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპერატურით | | საშუალო ტემპერატურა 13 საათზე | | | |
|---|----------------------|------------------------------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|--------------|----------------------------|----------------------|----------------------------|---------------------------|--|-------------------------------|-------------------------------|---------------------|-------------------|--------------------|
| | | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | წლის საშუალო | აბსოლუტური მინიმუმი | აბსოლუტური მაქსიმუმი | ყველაზე ცხელი თვის საშუალო | ყველაზე ცივი თვის საშუალო | ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო | ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო | ბანგრძლივობა დღეებში | საშუალო ტემპერატურა | ყველაზე ცივი თვის | ყველაზე ცხელი თვის |
| | | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 1 | ზუგდიდი | 4,9 | 5,5 | 8,2 | 12,3 | 17,0 | 20,3 | 22,6 | 22,7 | 19,2 | 15,1 | 10,5 | 6,7 | 13,8 | -19 | 40 | 27,0 | -3 | -6 | 4,5 | 101 | 6,2 | 7,3 | 26,3 |

ცხრილი N 5 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

| № | პუნქტების დასახელება | თვის საშუალო, 0 C | | | | | | | | | | | | | თვის მაქსიმალური, 0 C | | | | | | | | | | | | |
|---|----------------------|-------------------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|---------|-----------------------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|--|--|
| | | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | | |
| 2 | ზუგდიდი | 8,5 | 9,2 | 10,7 | 11,2 | 11,8 | 10,6 | 8,8 | 9,7 | 11,5 | 11,9 | 10,5 | 9,1 | 18,2 | 18,9 | 20,4 | 20,9 | 21,6 | 20,3 | 18,5 | 19,4 | 23,7 | 21,6 | 20,2 | 18,8 | | |

ცხრილი N 6 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

| N | პუნქტების დასახელება | გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, % | | | | | | | | | | | | | საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე | | ფარდ. ტენიანობის საშ. დღეღამური ამპლიტუდა | |
|---|----------------------|------------------------------------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|--------------|--------------------------------|--------------------|---|--------------------|
| | | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | წლის საშუალო | ყველაზე ცივი თვის | ყველაზე ცხელი თვის | ყველაზე ცივი თვის | ყველაზე ცხელი თვის |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 1 | ზუგდიდი | 74 | 73 | 73 | 72 | 76 | 78 | 82 | 82 | 83 | 79 | 74 | 72 | 76 | 62 | 68 | 11 | 24 |

ცხრილი N 7 - ნაღებების რაოდენობა

| N | პუნქტების დასახელება | ნაღებების რაოდენობა წელიწადში, მმ | ნაღებების დღეღამური მაქსიმუმი, მმ |
|---|----------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
| 1 | ზუგდიდი | 1723 | 238 |

ცხრილი N 8 - თოვლის საფარი

| N | პუნქტების დასახელება | თოვლის საფარის წონა, კვა | თოვლის საფარის დღეღამური რიცხვი | თოვლის საფარის წყალმომცველობა, მმ |
|---|----------------------|--------------------------|---------------------------------|-----------------------------------|
| 1 | ზუგდიდი | 0,50 | 15 | - |

ცხრილი N 9 - ქარის მახასიათებლები

| N | პუნქტების დასახელება | ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ | | | | | ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი | | | | | | | ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ | | ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში | | | | | | | | | |
|---|----------------------|---|----|----|----|----|---|------|-------|-----|-----|------|-------|--|---------|--|---|----|----|----|---|----|----|----|-------|
| | | 1 | 5 | 10 | 15 | 20 | ჩ | ჩა | ა | სა | ს | სდ | დ | ჩდ | იანვარი | ივლისი | ჩ | ჩა | ა | სა | ს | სდ | დ | ჩდ | შტილი |
| 1 | ზუგდიდი | 20 | 23 | 24 | 25 | 26 | 7/4 | 10/3 | 56/16 | 7/5 | 2/7 | 3/14 | 11/47 | 4/4 | 5,1/0,4 | 2,0/0,3 | 6 | 7 | 36 | 7 | 5 | 8 | 27 | 4 | 53 |

ცხრილი N10 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

| N | პუნქტების დასახელება | თიხოვანი და თიხნარი | წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი | მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის | მსხვილნატეხი |
|---|----------------------|---------------------|--------------------------------------|---|--------------|
| 1 | ზუგდიდი | 0 | 0 | 0 | 0 |

7. ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

შერჩეულ ტერიტორიამდე, კერძოდ კი უშუალოდ ბადის და წყალადების წერტილამდე მიდის არსებული, ასფალტირებული გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს სარემონტო ან მოწყობის სამუშაოებს.

8. მდ. უმჰიას ჰიდროლოგია

მდ. უმჰიას წყლის მაქსიმალური ხარჯი

საკვლევ უბანზე ხევის წყალშემკები აუზის ფართობი შეადგენს - 9,1 კვ², ხოლო მისი სიგრძე შეადგენს- 7,5 კილომეტრს.

მდინარის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეები საპროექტო კვეთში, დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. აღნიშნული მეთოდის თანახმად, წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება 300 კმ²-ს, იანგარიშება ემპირიული რეგიონალური ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$Q = R \cdot \left[\frac{F^{2/3} \cdot K^{1,35} \cdot \tau^{0,38} \cdot \bar{i}^{0,125}}{(L + 10)^{0,44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta, \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც R _ რეგიონული პარამეტრი. ჩვენის შემთხვევაში მისი მნიშვნელობა 1,35- ს შეადგენს;

F _ წყალშემკრები აუზის ფართობია საანგარიშო კვეთში კმ²-ში,

K _ რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან. ჩვენს შემთხვევაში $K = 7$;

τ _ განმარობადობა წლებში, $\tau = 100$;

\bar{i} _ მდინარის ნაკადის გაწონასწორებული ქანობია ერთეულებში სათავიდან საანგარიშო კვეთამდე, ჩვენს შემთხვევაში $\bar{i} = 0,014$

L _ მდინარის სიგრძეა სათავიდან საანგარიშო კვეთამდე,

Π _ მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი, V კატეგორია ნიადაგისათვის $\Pi = 1,19$.

λ _ აუზის ტყიანობის კოეფიციენტი;

δ - აუზის ფორმის კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$\delta = 0,25 \cdot \frac{B_{\max}}{B_{sas}} + 0,75$$

სადაც B_{\max} - აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში,

B_{sas} - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში,

შესაბამისი გათვლებით ვღებულობთ, რომ $\delta = 1,08$

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეყვანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში, მიიღება მდინარის საპროექტო განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში N8.

ცხრილი N8

მდ. უმჰიას მაქსიმალური ხარჯი მ³/წმ-ში საპროექტო კვეთში

| F კმ ² | L კმ | K | Π | λ | δ | მაქსიმალური ხარჯი | |
|----------------------|---------|---|------|------|------|-------------------|-------------|
| | | | | | | τ = 100 წელი | τ = 50 წელი |
| 9,1 | 7,5 | 7 | 1,19 | 0,89 | 1,08 | 90,3 | 69 |

მდ. უმჰიას წყლის მინიმალური ხარჯი

მდინარის აუზის საშუალო სიმაღლის მიხედვით შესაბამისი გრაფიკებიდან ვღებულობთ, რომ წლიური ჩამონადენის ნორმა შეადგენს $M_0=32$ ლ/წმ კმ².

მდინარის ჩამონადენის მოდული 75 % უზრუნველყოფით ყველაზე მცირე წყლიანი შემოდგომა-ზაფხულის პერიოდისათვის განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$m_{75\%} = M_0 \frac{b}{1 - a\varphi}$$

სადაც M_0 -მდინარის წლიური ჩამონადენის ნორმა, ხოლო a , b და φ კოეფიციენტების აიღება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტიდან (1.15, 0.033 და 0.52 შესაბამისად). ფორმულაში რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით ვღებულობთ, რომ $m_{75\%} = 2.64$ ლ/წმ კმ²

მოღებული ჩამონადენის მოდულის შესაბამისი წყლის ხარჯი ტოლი იქნება $Q_{75\%} = 0,48 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

95% უზრუნველყოფის ხარჯის დასადგენად, მიღებული ხარჯის მნიშვნელობა გადამრავლება შესაბამის გადამყვან კოეფიციენტზე და ვლებულობთ, რომ $Q_{95\%} = 0,72 * 0,48 = 0,35 \text{ მ}^3/\text{წმ}$ - ს.

მიღებული ხარჯის რიცხვითი მნიშვნელობის შესაბამის გადამყვანი კოეფიციენტებზე გადამრავლებით ვლებულობთ მინიმალურ ხარჯს 95 % უზრუნველყოფის 30 დღიანი პერიოდისათვის და დღე-ღამურ მინიმუმს:

30 დღიანი პერიოდისათვის - $Q_{95\%} = 0,44 \text{ მ}^3/\text{წმ}$

მინიმუმი დღე-ღამეში - $Q_{95\%} = 0,3 \text{ მ}^3/\text{წმ}$

მდ. უმპიას საშუალო მრავალწლიანი ხარჯი

მდ.უმპიას წლიური ჩამონადენის ნორმის ($M_0=32 \text{ ლ/წმ კმ}^2$) მიხედვით ვადგენთ წყლის საშუალო წლიური ხარჯს:

$$Q_0 = \frac{M_0 * 313}{1000}$$

შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობის ჩასმით ვლებულობთ, რომ $Q_0 = 10 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

მდ. უმპიას ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება

შესაბამისი ნომრატული ლიტერატურის გამოყენებით ვადგენთ მდინარე უმპიას 75% უზრუნველყოფის ხარჯის ჩამონადენის შიდაწლიური განაწილებას

| თვეების მიხედვით | | | | | | | | | | | |
|------------------|-----|-----|------|-----|------|-----|------|-----|------|------|------|
| III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II |
| 18,2 | 8,6 | 6,1 | 5,04 | 8,4 | 5,6 | 6,4 | 10,7 | 9,6 | 12,4 | 12,6 | 16,3 |

9. ზემოქმედების შეფასება

9.1 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, სარწყავი სისტემის ფუნქციონირება არ იწვევს ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას, რადგან მიმდებარე ტერიტორიები აქტიურად გამოიყენება სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით.

9.2 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

ობიექტიდან უახლოესი დაცული ტერიტორია დაშორებულია 20 კმ-ზე მეტი მანძილით, შესაბამისად მასზე რაიმე სახის ზემოქმედება ფაქტობრივად გამორიცხულია.

მიუხედავად იმისა, რომ ბალისთვის განკუთვნილი ტერიტორია ესაზღვრება სახელმწიფო ტყის ფონდში არსებულ მცირე ტერიტორიას, საქმიანობა არ ითვალისწინებს მასზე რაიმე სახით ზემოქმედებას.

9.3 ზემოქმედება სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, შესაბამისად ზემოაღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირების და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. საქმიანობა დადებით გავლენას ახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციისას, ბაღში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა. ამასთან, საქმიანობის განმახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ბიუჯეტში იხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს.

9.4 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

სარწყავი ინფრასტრუქტურისთვის შერჩეული ტერიტორია წლების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენულ ზემოქმედებას. გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, შესაბამისად ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია. პროექტი ადვილად ადაპტირებადი და თავსებადი იყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურისთვის. ტერიტორია არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს.

სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციისას პრაქტიკულად გამორიცხულია ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვანი სახეობის ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას ან მათ უშუალო განადგურებას. სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე, ძირითადად ზემოქმედებას დაექვემდებარა ტერიტორიის განაპირა საზღვრებზე შემჩნეული მცირე ზომის მინდვრის თავგები და ქვეწარმავლები. ზემოქმედება გამოხატული იყო მათ შემფოთებაში და ღროებით მიგრაციაში.

რაც შეეხება ფრინველებს, შერჩეული ტერიტორიის ვიზუალური შეფასებით ამ დროისათვის გვხვდება მხოლოდ მცირე რაოდენობის წვრილი ბედურასნაირი ფრინველები. ტერიტორია არ წარმოადგენს ფრინველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ადგილს. უშუალოდ ტერიტორიის გავლენის ზონაში ფრინველების საბუდარი ადგილები არ დაფიქსირებულა.

იმის გათვალისწინებით, რომ მდინარიდან წყლის ამოსაღებად ტერიტორიაზე განთავსებულ იქნა ზედაპირული ტუმბო, ტექნიკის წყალში დგომას, წყლის ამღვრევას და ამ კუთხით იხტიოფაუნაზე ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, გამომდინარე იქიდან, რომ მაქსიმალური წყალაღება მცირეა, აღნიშნული ვერ მოახდენს იხტიოფაუნის საბინადრო არეალზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

9.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას არ იწვევს, თუმცა საგულისხმოა, რომ ნერგების დარგვის პროცესში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დამუშავდა, რაც გულისხმობს ტერიტორიის მოხვნას (და არა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხვნას). მიწისქვეშა მიწების მოწყობისას (ტუმბოდან რეზერვუარამდე) ამოღებული მიწა გამოყენებული იქნა მიწების ჩასაწყობად გათვალისწინებული თხრილების ამოსავსებად. წყლის რეზერვუარის, სატუმბი ოთახის და საოფისე შენობის მოწყობისთვის მიწის სამუშაოები არ განხორციელებულა, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ამ კუთხით ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

9.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესაბამისად აღნიშნულზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ბაღის ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს. თხრილების ამოჭრის პროცესში ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნები ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევები, არ დაფიქსირებულა.

9.7 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა

მოწყობის ეტაპზე ნარჩენის სახით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ექსკავირებული გრუნტის წარმოქმნას, რომელიც შემდგომ კვლავ გამოყენებული იქნა თხრილების ამოსავსებად.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება დაკავშირებული არ არის სახიფათო ან არასახიფათო ნარჩენებს წარმოქმნასთან. ბაღის ტერიტორიაზე მუნიციპალური

ნარჩენების წარმოქმნას ადგილი აქვს მხოლოდ დასაქმებული პირებისთვის განკუთვნილ საოფისე შენობაში. აღნიშნული ნარჩენი გროვდება ტერიტორიაზე, შესაბამის კონტეინერში და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მისი გატანა ხდება შესაბამის ნაგავსაყრელზე.

9.8 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება

სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში გამოყენებული იყო მხოლოდ ექსკავატორი, რომელიც მუშაობდა მხოლოდ 15-20 დღის მანძილზე. ამასთან, მოწყობის სამუშაოები არ ითვალისწინებდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების სტაციონალური წყაროების გამოყენებას, შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოწყობის პროცესში ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება ექსპლუატაციას, სარწყავი სისტემის ფუნქციონირება თავისი სპციფიკიდან გამომდინარე არ ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას.

9.9 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება

როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა დაახლოებით 15-20 დღე და განხორციელდა დღის საათებში. ამასთან, მოწყობის პროცესში მუშაობდა მხოლოდ ექსკავატორი, შესაბამისად, აღნიშნულ ეტაპზე ხმაურის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

სამელიორაციო სისტემის ტერიტორიაზე განთავსებულია ხმაურწარმოქმნელი ორი ტუმბო. როგორც უკვე აღინიშნა, ერთი მათგანი მოთავსებულია სატუმბო ოთახში, ხოლო მეორე მათგანი წყალაღების წერტილის მიმდებარედ, მიწის ზედაპირზე. გამომდინარე იქიდან, რომ ერთ-ერთი ტუმბო მოთავსებულია დახურულ სივრცეში, ხმაურის დონე დაყვანილია მინიმუმამდე. ხოლო რაც შეეხება მეორე ზედაპირულ ტუმბოს, რომელიც გათვალისწინებულია წყლის ამოსაქაჩად, მისი მცირე ხმაურის დონე ფაქტობრივად 400 მეტრზე მეტ მანძილზე თითქმის უმნიშვნელოა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის შედეგად, მოსალოდნელი არ არის ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

9.10 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის პროცესში მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ბაღის ექსპლუატაციის პროცესში არაა გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სპეც. ტექნიკის გამოყენება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება

საწვავით და ასევე საზეთ საპონი მასალებით. აღნიშნული სახის ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესშიც.

9.11 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

პროექტით გათვალისწინებული არ არის ისეთი ზემოქმედებები როგორცაა წყლის დებიტის მნიშვნელოვანი ცვლილება, მდინარეთა ნატანის გადაადგილების შეზღუდვა, კალაპოტისა და ნაპირების სტაბილურობის დარღვევა და ა.შ. ასევე, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე რაიმე ტიპის ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება ვინაიდან, ზედაპირული წყალი გამოიყენება მრავალწლიანი კულტურის მოსარწყავად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის ჩატარებული სამუშაოები იყო მცირე მასშტაბის და ამასთან, პროექტის ფარგლებში არ მომხდარა პოტენციურად დამაბიძნურებელი ნივთიერებების ბაღის ტერიტორიაზე დასაწყობება. მოწყობის სამუშაოები განხორციელდა გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინებით.

სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალაღებით გამოწვეული ზემოქმედება სარწყავად მოხმარებული წყლის რაოდენობიდან გამომდინარე, მდინარის ჰიდროლოგიაზე მნიშვნელოვნად არ აისახება. შესაბამისად, ვერ გამოიწვევს ისეთ მეორად ზემოქმედებებს, როგორცაა წყლის ბიომრავალფეროვნების საცხოვრებელი გარემოს შეზღუდვა, მდინარის სანიტარული პირობების დაქვეითება და წყლის რესურსის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა სხვა პოტენციური მომხმარებლებისთვის.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთათვის მოწყობილი ბიოტუალეტი პერიოდულად იწმინდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ, აქედან გამომდინარე სამეურნეო-ფეკალური წყლებით ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

9.12 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმიანობა მიმდინარეობს გეოლოგიურად სტაბილურ ტერიტორიაზე, სადაც საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების ნიშნები არ გამოვლენილა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში ადგილი არ ჰქონდა მნიშვნელოვან სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და მოხდა მხოლოდ 60 სმ სიღრმის თხრილის გაყვანა ტუმბოდან რეზერვუარამდე, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციისას გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები არ არის მოსალოდნელი.

9.13 კუმულაციური ზემოქმედება

შპს „ლურჯი მოცვის საქართველოდან“-ს მიერ განხორციელებული, მდ. უმპიას ნაპირის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, აღნიშნულ ეტაპზე შერჩეული წყალაღების წერტილის 500 მეტრიან საზღვარში არ დაფიქსირებულა სხვა წყალმომხმარებელი, შესაბამისად საქმიანობის შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ლურჯი მოცვის ბაღის მიმდებარედ, შპს „საქართველოს მოსავალის“ არსებული ანალოგიური ტიპის ბაღის მორწყვისთვის შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ უზრუნველყოფს თავისივე წყალაღების წერტილიდან დამატებით 5000 მ³ წყლის ამოღებას და მისთვის მიწოდებას, ორივე კომპანიის საკადასტრო საზღვრებში გაყვანილი მილებით.

10. დანართი 1 - ხელშეკრულება შპს „ლურჯი მოცივი საქართველოდან“ და შპს „საქართველოს მოსავალს შორის

ხელშეკრულება

ქ. ზუგდიდი

10 მაისი 2022 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, შპს „ლურჯი მოცივი საქართველოდან“ (ს/კ 405472778), წარმოდგენილი მისი დირექტორის რატი ჩაკვეტაძის სახით (შემდგომში „მესაკუთრე“)
და
მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს მოსავალი“ (ს/კ 405472643), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ნარსიას სახით (შემდგომში „მოსარგებლე“)

იმდენად, რამდენადაც:

- ა. „მესაკუთრე“ ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარაზენში, საკუთარ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით - 43.12.47.555 ახორციელებს კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცივის) ბაღების გაშენებას, რისთვისაც უნდა მოაწყოს სათანადო ინფრასტრუქტურა და სარწყავი სისტემა (შემდგომში „საშუალებები“), რომელსაც გაუწევს შესაბამის ექსპლუატაციას;
- ბ. „მოსარგებლე“ ასევე ახორციელებს თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით - 43.12.47.554, რომელიც მდებარეობს „მესაკუთრის“ მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცივის) ბაღების გაშენებას და მოითხოვს საშუალებების გამოყენებას საკუთარი ბაღების ფუნქციონირების მიზნით;
- გ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ვადების შესაბამისად „მესაკუთრე“ ნებას დართავს „მოსარგებლეს“ ისარგებლოს საშუალებებით;
- დ. მხარეები თანხმდებიან, რომ „მესაკუთრე“ გაუფრთხილდება „მოსარგებლის“ ინტერესებს და უმიზნოდ არ შეზღუდავს „მოსარგებლის“ მიერ საშუალებებით სარგებლობის უფლებას.

1. საშუალებებით სარგებლობა

- 1.1. იმისათვის, რომ „მოსარგებლეს“ მიეცეს საკუთარი ბაღების სათანადოდ მოვლისა და ექსპლუატაციის საშუალება, ასევე წყლით მომარაგების შესაძლებლობა, „მესაკუთრე“ თანახმაა აწარმოოს „საშუალებების“ ექსპლუატაცია, ტექნიკური უზრუნველყოფა, გამართული ფუნქციონირება და მისცეს „მოსარგებლეს“ უფლება „საშუალებების“ გამოყენებით მიიღოს წყალი (წელიწადში არაუმეტეს 5000 მ³) და ისარგებლოს „მესაკუთრის“ სხვა ინფრასტრუქტურით.
- 1.2. წყლის სათანადოდ მოპოვების/მიღების მიზნით, მხარეები ცალ-ცალკე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავენ შესაბამის ადმინისტრაციულ

ორგანოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების უფლების მოპოვების მიზნით. „მესაკუთრის“ მიერ წყლის მიწოდება და „მოსარგებლის“ მიერ ინფრასტრუქტურით სარგებლობა განხორციელდება მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

- 1.3. „მესაკუთრემ“ ნებისმიერ დროს უნდა გაუწიოს საშუალებებს ექსპლუატაცია, აწარმოოს მათი ტექნიკური უზრუნველყოფა და შესაბამისი შეკეთება.
- 1.4. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ „მესაკუთრე“ განახორციელებს სრულ კონტროლს საშუალებების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, შემოწმებაზე, შეკეთებაზე, შეცვლაზე, მოდიფიცირებაზე, გადაადგილებასა და გამოყენებაზე, თუმცა „მესაკუთრე“ შეეცდება „მოსარგებლესთან“ შეთანხმოს ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა სამუშაოს ჩატარების დრო და ხანგრძლივობა და ამასთან, „მოსარგებლეს“ ექნება უფლება მიავიროს თავისი წარმომადგენელი ამგვარი სამუშაოების წარმოებისას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან სამუშაოების ჩატარების დროსა და ხანგრძლივობაზე, „მესაკუთრეს“ შეუძლია „მოსარგებლისთვის“ 3 დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე თავად განსაზღვროს ასეთი სამუშაოების ჩატარების განრიგი.

2. ღირებულება და გადასახადები საშუალებებით მომსახურებაზე

- 2.1. „მოსარგებლეს“ გადაუხდის „მესაკუთრეს“ ფიქსირებულ ყოველთვიურ გადასახდელს წყლის მიწოდებისთვის საჭირო და სხვა ინფრასტრუქტურით/საშუალებებით სარგებლობისთვის/გამოყენებისთვის - 100 (ასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- 2.2. ზემოაღნიშნული 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის დარიცხვა დაიწყება 1.2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ორივე მხარის სასარგებლოდ დადებითი გადაწყვეტილების მიღების დღიდან.
- 2.3. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, „მესაკუთრის“ მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღეში.

3. ფორსმაჟორი

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერ მხარესთან მიმართებით ფორსმაჟორი და ფორსმაჟორული მოვლენა ნიშნავს მოვლენას ან გარემოებას, რომელიც არ ექვემდებარება ამ მხარის კონტროლს, არ შეიძლება აცილებული იქნას თავიდან ისეთი წინდახედულობის, კვალიფიკაციის და განსჯის მიუხედავად, რომელიც მოსალოდნელია ამ შემთხვევაში კარგი და წინდახედული ოპერატორისგან/მფლობელისგან, რომელიც, ასეთი მხარის კეთილსინდისიერი მცდელობის მიუხედავად, არ შეიძლება გათვალისწინებული ან თავიდან აცილებული იქნას და რომელიც იწვევს ასეთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას ან არ აძლევს ასეთ მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი ვალდებულებების შესრულების საშუალებას. არც ერთ მხარეს არ ჩაეთვლება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ პირობების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნება ფორსმაჟორული მოვლენის არსებობით.

4. პასუხისმგებლობა

- 4.1. მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე სხვა დებულების, არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, აინაზღაუროს მეორე მხარისგან რაიმე ხარჯი, დანაკარგი, ზარალი, დარიცხული პროცენტები ან ჯარიმები, რომლებიც დაკავშირებულია (i) მოგების, საქმიანობის, კონტრაქტის ან შემოსავლის დაკარგვასთან; (ii) მოსალოდნელი დანაზოგის განუხორციელებლობასთან; ან (iii) ნებისმიერი სხვა განსაკუთრებული, არაპირდაპირი ან სხვა გამომდინარე ზარალთან თუ დანაკარგებთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 4.2. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობისა და არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

5. ვადა

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და დარჩება ძალაში განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 6.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
- 6.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:
- ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რა ვადაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.
 - ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.
- 6.3. „მოსარგებლე“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წვეტს მოქმედებას „მოსარგებლის“ მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

7. შეტყობინებები

- 7.1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულებაში საგანგებოდ სხვაგვარად არის მითითებული, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი შეტყობინებები ან ურთიერთკავშირის სხვა ფორმები უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით და უნდა გადაიცეს ხელიდან ხელში ან გაიგზავნოს საერთაშორისო ალიანსის მქონე საკურიერო ფოსტით მხარეთა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე. ამასთან აუცილებელია მიღების დამადასტურებელი საბუთის არსებობა.

8. სხვადასხვა

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.
- 8.2. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით. მხარეებს შორის ადრე ზეპირად ან წერილობითი ფორმით მიღებული საბუთები, ვალდებულებები, წინასწარი შეთანხმებები ან მოლაპარაკებები (თუ ასეთი არსებობენ), რომლებიც შეეხება ამ ხელშეკრულების საგანს, ითვლება გაუქმებულად და მათ არ ექნებათ არავითარი გავლენა და არ გამოიწვევენ ამ ხელშეკრულების პირობების და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არანაირ ცვლილებას.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
- 9.2. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით „მესაკუთრის“ და „მოსარგებლის“ სათანადოდ უფლებამოსილი პირები აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ხელს, ხელშეკრულების პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აღნიშნულ თარიღში.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მესაკუთრე“

შპს „ლურჯი მოცივი საქართველოდან“

ს/კ 405472778
 იურ. მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N47

საბანკო რეკვიზიტები:
 სს „თიზიზი ბანკი“
 ბ/კ TBCBGE22
 ა/ა GE28TB 7248 1360 4010 0002

დირექტორი
რატი ჩაკვეტაძე



„მოსარგებლე“

შპს „საქართველოს მოსაგალი“

ს/კ 405472643
 იურ. მის: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზ. N 34 / ალ. ყაზბეგის გამზ. N2

დირექტორი
ალექსანდრე ნარსია



11. დანართი 2 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მაის (კრწანის ქუჩის) საკადასტრო კოდი N 43.12.47.555

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021940197 - 03/11/2021 14:10:43

მომზადების თარიღი
03/11/2021 16:34:24

საკუთრების განყოფილება

| ზონა მუგდლი | სექტორი ნარაზენი | კვარტალი | ნაკვეთი | ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 127144.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 43.12.47.448; |
|----------------|---------------------|----------|---------|---|
| 43 | 12 | 47 | 555 | |

მისამართი: რაიონი მუგდლი, სოფელი ნარაზენი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021606765 , თარიღი 21/07/2021 14:52:38
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/07/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N210764800 , დამოწმების თარიღი: 21/07/2021 , ნოტარიუსი შ.შაქარაშვილი
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 21/07/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს ლურჯი მოცი საქართველოდან, ID ნომერი: 405472778

მესაკუთრე:

შპს ლურჯი მოცი საქართველოდან

აღწერა:

იპოთეკა

| | |
|---|---|
| 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021940197 თარიღი 03/11/2021 14:10:43 | იპოთეკარი საბაქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი" 204854595; საგანი: დამუცებული ფართობი: 127144.00 კვ.მ. ; იპოთეკის ხელშეკრულება N1231232903866 , დამოწმების თარიღი 03/11/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
|---|---|

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/11/2021

საგადასახადო გირაუნობა:

რეესტრირებული არ არის

ვაღიანებულება

ვაღიანებ/აკრებულება:

რეგისტრირებული არ არის

მოვაღიანებ რეგისტრირებული:

რეგისტრირებული არ არის

"ფინანსური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი დარბებულების ქონების ხაზგერბად მიღებისას სამომხარებლო გადასახადო გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინანსური პირი ისევე ვაღიანებ წარუღიანებს ლეკლარაციას საგადასახადო ორგანიზაციის აღნიშნული ვაღიანებულების შეკრებულებულია წარმოადგენს საგადასახადო ხაზგადაღიანებულებას, რაც ასევეც პასუხისმგებლობის სტრუქტურის საგადასახადო კოლექციის XVIII თავის მიხედვით."

- ლეკლარაციის ნამდვილობის ვაღიანებულება შესაძლებელია საჯარო რეგისტრირების ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამინაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერბიკორიულ სარეგისტრაციო ხაზგადასახადო, ექსტრის მიხედვით და სააგენტოს აგენტობებულ პირებთან;
- ამინაწერში გვერბიკორი ხარბევის აღნიშნების შესახებულება დავა კავშირდით: 2 405405 ან პარდად შეგეფი განიხები ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ექსტრის მიხედვით ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრირების თანამშრომელია მხრიდან უკანონო ქმელების შესახებულება დავა კავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენიეის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დავა კავშირდით მოგვეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

12. დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21070846, 14/07/2021 23:22:51

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ლურჯი მოცვი საქართველოდან
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405472778
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 14/07/2021
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: rchakvetadze@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - რატი ჩაკვეტაძე, 01024032088

პარტნიორები

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---------------------------|------|-----------------|
| თეა ჭეიშვილი, 35001001086 | | 100% |

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყაღაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

